გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №201

2025 წლის 12 დეკემბერი

ქ. გორი

გეოგრაფიული ობიექტისთვის ძველი სახელწოდების გადარქმევის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია საკრებულოს წევრის მანუჩარ ლაფაჩის ინიციატივა, რომლითაც ითხოვს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ რიეთში არსებულ №4 ქუჩას, №4 ქუჩის I და II ჩიხებს №3 და №8 ქუჩებს გადაერქვას ძველი სახელწოდება და ეწოდოს გამოჩენილი ქართველი სპორტსმენის, საზოგადო მოღვაწის კობა კურტანიძის სახელი, ხოლო №3 ქუჩის გარკვეულ მონაკვეთს ეწოდოს კობა კურტანიძის I შესახვევი (იხ.დანართი).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, განიხილოს აღნიშნული ინიციატივა. ამასთან, სახელდების თაობაზე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2025 წლის 24 ოქტომბრის №49 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობის შესაბამისად, გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ასევე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ რიეთში არსებულ №4 ქუჩას, №4 ქუჩის I და II ჩიხებს, №3 და №8 ქუჩებს გადაერქვას ძველი სახელწოდება და ეწოდოს გამოჩენილი ქართველი სპორტსმენის, საზოგადო მღვაწის კობა კურტანიძის სახელი, ხოლო №3 ქუჩის გარკვეულ მონაკვეთს ეწოდოს კობა კურტანიძის I შესახვევი (იხ.დანართი).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **მარლენ ნადირაძე**